# განათლების საერთაშორისო ცვლილების

## 2015 წლის ანგარიში

# სარჩევი


შესავალი ____ 1გვ

განათლების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი ამოცანები ____ 3გვ

განათლების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი მიზნები ____ 4გვ

ცენტრის სტრუქტურა ____ 5გვ

2015 წელს ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები ____ 6გვ

საჯარო მოსამსახურეთა მომზადების სამსახური (საჯარო მოსამსახურეთა სკოლა) ____ 16გვ

საკონტაქტო ინფორმაცია ____ 22გვ

# შესავალი

დოკუმენტში მოცემულია დეტალური ინფორმაცია სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული ცვლილებების, პროგრამების, სიახლეებისა და ღონისძიებების შესახებ. ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოს სრული აღწერა საშუალებას გვაძლევს ობიექტური ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას. ვიმედოვნებთ, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია სრულყოფილი და ამომწურავი იქნება.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი საქმიანობას ახორციელებს ცენტრის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, ბრძანებულებების ან განკარგულებების, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის აქტების საფუძველზე.

ცენტრი ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან/და მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს, შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით: კანონიერება, პროფესიონალიზმი, გამჭვირვალობა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების საერთაშორისო ცენტრი შექმნილია საჯარო სამსახურში დასაქმებულ და დასაქმების მსურველ პირთა საჯარო სამსახურის ეფექტიანობის, აუცილებელი სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების, საქართველოში საერთაშორისო განათლების ხარისხის, საერთაშორისო სასწავლო აკადემიური პროგრამების, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ცენტრი არის საქართველოს

მთავრობის  სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, არსებული (მოქმედი) საკანონმდებლო აქტებით, დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №

# განათლების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი ამოცანები

ა) საქართველოს მოქალაქეების ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, პრიორიტეტულ უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

ბ) საქართველოს მოქალაქის, ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი ახალგაზრდების  საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

გ) პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათ მიერ  პროფესიული და საზოგადოებრივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

დ) აკადემიური, ადმინისტრაციული და სასწავლო პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამებით საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობა;

ე) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ვ) სპეციალური სასწავლო პროგრამების ორგანიზების გზით საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ზ) საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველ პირთათვის მოსამზადებელი  სასწავლო პროგრამების ორგანიზების გზით საჯარო სამსახურის შესაბამისი კვალიფიციური კადრებით შევსების ხელშეწყობა;

თ)  საჯარო სამსახურში დასაქმების პოპულარიზაცია.

# განათლების საერთაშორისო ცენტრის ძირითადი მიზნები

განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს. ცენტრის მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და დემოკრატიულ განვითარებაში, საქართველოში განათლების ხარისხის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების გზით.

ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ საუკეთესო საერთაშორისო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მოახდინონ მიღებული ცოდნის რეალიზება ქვეყანაში.

# ცენტრის სტრუქტურა

ცენტრი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების სამსახური;

ბ) საჯარო მოსამსახურეთა მომზადების სამსახური (საჯარო მოსამსახურეთა

სკოლა);

გ) ადმინისტრაციული სამსახური;

დ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

# 2015 წლის ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები

განათლების საერთაშორისო ცენტრის აკადემიური პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების სამსახურის მიერ 2015 წლის იანვარ - დეკემბერში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

## 1. საერთაშორისო პროექტები

2015 წლიდან სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა დაიწყო პარტნიორი უნივერსიტეტების სასტიპენდიო პროგრამაზე მუშაობა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების თანადგომით ცენტრი დაუკავშირდა სხვადასხვა უნივერსიტეტს. აქტიური მოლაპარაკებების შედეგად ცენტრმა გააფორმა პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ჩარჩო ხელშეკრულებები რიგ სასწავლო დაწესებულებებთან ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში.

მიმდინარე წლის მაისში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს რატგერსთან, ნიუჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ნოემბრის თვეში ნორვეგიის ეკონომიკის სკოლასთან (NHH) გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება, 2015 წლის 1-ელ დეკემბერს კი დაიდო პარტნიორობის ხელშეკრულება კამპუს ფრანსს, საფრანგეთის საელჩოსა და ცენტრს შორის, რომლის თანახმადაც 2016-17 სასწავლო წელს 17 სტუდენტი შეძლებს საფრანგეთში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებას. კონკურსის პირობები განათლების საერთაშორისო ცენტრის, კამპუს ფრანსისა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მიერ ერთობლივად იქნება დადგენილი. სტუდენტებს კი საერთაშორისო კომისია შეარჩევს. კამპუს ფრანსი, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი და საფრანგეთის საელჩო მობილობის სტიპენდიების პროგრამის თანადაფინანსებას საერთაშორისო ვალდებულებიდან გამომდინარე თანამშრომლობის პოლიტიკის ფარგლებში განახორციელებენ. შემდეგ

წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოში, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამის სფეროში 3 წლამდე ვადით.

ამავე პერიოდში დაიწყო მოლაპარაკებები გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურსა და ამერიკულ ორგანიზაციებთან ერთობლივ, ინდივიდუალურ სასტიპენდიო პროგრამებთან დაკავშირებით. პარალელურად ცენტრთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს სამხრეთ იუტასა და კარნეგი მელონის უნივერსიტეტებმა, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება იგეგმება 2016 წლიდან.

პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, აპლიკანტებს საშუალება ექნებათ გაიარონ მხოლოდ ერთი სააპლიკაციო პროცედურა, რომლის ადმინისტრირება ცენტრში მოხდება.

## 2. აკადემიური პროგრამები

2015 წლის იანვარში ჩატარდა კონკურსი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 28 ნოემბრის #455 ბრძანებით 2015-2016 სასწავლო წლისათვის „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ შემდეგ პროგრამებზე: საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა; საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამა.

ორივე პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დაუმტკიცდა - 10 კონკურსანტს.

- საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში - 8 კონკურსანტი, გრანტის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა - 7 სტიპენდიანტმა.

- საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამა - 2 კონკურსანტი, გრანტის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა - 1 სტიპენდიანტმა.

აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება სულ აითვისა 8 სტიპენდიანტმა.

პროგრამების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა:

- საკონკურსო პროგრამების მომზადება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
- სააპლიკაციო სისტემის გამართვა და პროცესის კოორდინაცია.
- საკონკურსო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირება - 1) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში მოქალაქეებთან საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით; 2) თბილისსა და რეგიონულ უნივერსიტეტებში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრების მეშვეობით.
- საკონკურსო პერიოდში კომისიის მუშაობის დაგეგმვა /კოორდინაცია.
- გამარჯვებულ კონკურსანტებთან გრანტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და ფინანსური უზრუნველყოფა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №102 ბრძანების საფუძველზე „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლისათვის გამოცხადდა მეორე კონკურსი შემდეგ პროგრამაზე: საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა; საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამა

ორივე პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დაუმტკიცდა - 46 კონკურსანტს.

# მიმართულებები
# 2015



# გენდერული მაჩვენებელი
# 2015



# ქვეყნების სტატისტიკა
# 2015



InFocus

- საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში - 43, გრანტის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა - 38.

- საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამა - 3, გრანტის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა - 3.

აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება სულ აითვისა 41 სტიპენდიანტმა.

აგრეთვე, აღნიშნული ბრძანებისა და 303 დადგენილების შესაბამისად დაფინანსება გამოეყო 2014 წელს დაფინანსებულ პირებს, რომლებიც ჩარიცხული იყვნენ 1 წელზე მეტი ხანგრძლივობის აკადემიურ პროგრამაზე.

2015-2016 სასწავლო წლისათვის დაფინანსება გამოეყო 50 მიმდინარე გრანტის მფლობელს.

პროგრამების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა:

- საკონკურსო პროგრამების მომზადება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენა დასამტკიცებლად.
- სააპლიკაციო სისტემის გამართვა და პროცესის კოორდინაცია.
- საკონკურსო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირება -

1) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში მოქალაქეებთან საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით;

2) თბილისსა და რეგიონულ უნივერსიტეტებში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრების მეშვეობით.

- საკონკურსო პერიოდში კომისიის მუშაობის დაგეგმვა /კოორდინაცია.
- გამარჯვებულ კონკურსანტებთან გრანტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და ფინანსური უზრუნველყოფა.

„განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დაუმტკიცდა 106 საქართველოს მოქალაქეს.

2015 წლის 24 სექტემბერს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 24 სექტემბრის N6-15 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა და გამოცხადდა მედია-ტრენინგის საკონკურსო პროგრამა.

აღნიშნული პროგრამის საშუალებით კონკურსში გამარჯვებული პირები უნგრეთში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაესწრნენ განათლების საერთაშორისო ცენტრისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მედია-ტრენინგს. ტრენინგის თემას წარმოადგენდა განათლების პოლიტიკის მედია განხილვისა და გაშუქების სპეციფიკა. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლები და საჯარო საკომუნიკაციო და მასობრივი ინფორმაციის სფეროში დასაქმებული პირები.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა - 14 კონკურსანტი.

პროგრამების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა:

- საკონკურსო პროგრამის მომზადება და დამტკიცება.
- სააპლიკაციო სისტემის გამართვა და პროცესის კოორდინაცია.
- საკონკურსო პერიოდში კომისიის მუშაობის დაგეგმვა /კოორდინაცია.
- გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულების გაფორმება და ფინანსური უზრუნველყოფა.

2015 წლის ოქტომბერში დაიწყო და განხორციელდა განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის პირველი ეტაპი. აღნიშნულ პროცესში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოების ჩართულობითა და ცენტრის კოორდინაციით შემოდგომის პერიოდში დაბრუნებული 14 კურსდამთავრებულიდან პირველ ეტაპზე დასაქმდა - 12 კურსდამთავრებული.

2015 წლის დეკემბერში განახლდა განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ზამთრის პერიოდში დაბრუნებული 7 კურსდამთავრებული დასაქმებისათვის საჭირო ღონისძიებები.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2015 წლის 16 დეკემბრის N24-15 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა სასტიპენდიო პროგრამა „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016-2017“.

აღნიშნული პროგრამა შემუშავებული იქნა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს, საფრანგეთის საელჩოს საქართველოში და კამპუსს ფრანსს შორის 2015 წლის 1 დეკემბერის პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის საშუალებით საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ მოიპოვონ მაგისტრის აკადემიური ხარისხი საფრანგეთში, როგორც ფრანგულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებზე.

განაცხადების მიიღება 2016 წლის 11 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე - www.iec.gov.ge, ელექტრონული განაცხადის ფორმის შევსების გზით.

აღნიშნული საკონკურსო პროგრამების ფარგლებში განაცხადების მიღება წარმოებს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე iec.gov.ge განთავსებული ელ. სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით. წარმოდგენილი ელ. განაცხადების კომისიის მიერ განხილვა და შეფასება წარმოებს ამავე სარეგისტრაციო ფორმაში ინტეგრირებული ელექტრონული შეფასების სისტემის მეშვეობით კონკურსის ყოველი ეტაპისათვის.

# საჯარო მოსამსახურეთა მომზადების სამსახური (საჯარო მოსამსახურეთა სკოლა)

ცენტრის დებულების თანახმად, მის ერთერთ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა საჯარო მოსამსახურეთა მომზადების სამსახური (საჯარო მოსამსახურეთა სკოლა).

სამსახურის ფუნქციები:

- საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის მოსამზადებელი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და არსებულის სრულყოფის მიზნით კვლევითი საქმიანობის განხორციელება;
- უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კერძო და საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- არაუგვიანეს ყოველი წლის 31 დეკემბრისა სამსახურის წლიური ანგარიშის მომზადება და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის წარდგენა;
- კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის დირექტორის/დირექტორის მოადგილის სხვა დავალებების შესრულება;

ცენტრის ამოცანები საჯარო მოსამსახურეთა მომზადების მიმართულებით:

- სპეციალური სასწავლო პროგრამების ორგანიზების გზით საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველ პირთათვის  მოსამზადებელი სასწავლო პროგრამების ორგანიზების გზით საჯარო სამსახურის შესაბამისი კვალიფიციური კადრებით შევსების ხელშეწყობა;
- საჯარო სამსახურში დასაქმების პოპულარიზაცია;

## საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტი

განათლების საერთაშორისო ცენტრი შექმნილია საჯარო სამსახურში დასაქმებულ და დასაქმების მსურველ პირთა საჯარო სამსახურის ეფექტიანობისათვის აუცილებელი სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რაც კონცეპტუალურ კავშირშია საჯარო სამსახურის რეფორმასთან და მნიშვნელოვანია ამ რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელება ინსტიტუციური ცვლილებების გარდა მასში დასაქმებულ პირთა თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ცოდნით აღჭურვას საჭიროებს.  რეფორმის მიზანი სწორედ, ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებაა, რომელიც მერიტოკრატულ პრინციპზე იქნება დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას.

# ამ მიმართულებით 2015 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა

**ამ მიმართულებით 2015 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:**

1. შეიქმნა საჯარო მოსამსახურეთა სკოლის კონცეფცია, რომლის სამ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარება, მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურების გაწევაზე ორიენტირებულობა, სახელმწიფო მოსამსახურეთა დაცულობისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობათა ზრდა.

2. შესწავლილ იქნა საჯარო სამსახურის სფეროში განხორცილებული კვლევები და მომზადდა პრობლემების კატალოგი.

3. მომზადდა სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებული სასწავლო ცენტრების შედარებითი ანალიზი. მოხდა თითოეული მათგანის პროგრამების, სასწავლო კურსების და საგნების ჩამონათვალის შედარება.

4. შეიქმნა 100-მდე შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირის ბაზა, რომელიც პოტენციურად ჩაერთვება საჯარო მოსამსახურეთა სკოლის პროგრამების შექმნაში.

5. შესწავლილ იქნა 10 ქვეყნის, საჯარო მოსამსახურეთა სკოლის ფუნქციონირების გამოცდილება.

6. გაიმართა განათლების საერთაშორისო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა სადაც:

- მოწონებულ იქნა საჯარო მოსამსახურეთა სკოლის კონცეფცია;
- მოწონებულ იქნა საჯარო მოსამსახურეთა სკოლის საბაზისო პროგრამების გეგმა და სტრუქტურა;
- მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა, ცენტრის აქტიური მონაწილეობა, საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად კარიერული და პროფესიული განვითარების სტანდარტების შემუშავების პროცესში;

- მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა, საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით საჯარო მოსამსახურეთა სკოლა განხილულ იქნეს საჯარო სამსახურის მიმდინარე რეფორმის ჭრილში;
- მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა, საჯარო სამსახურის შიგნით, სწავლების პროცესში ფუნქციათა მკაფიოდ გამიჯვნის, ფინანსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენების მიზნით, დაიწყოს აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო დაფინასებაზე მყოფ სასწავლო ცენტრებთან, საჯარო მოსამსახურეთა სკოლის კონცეფციის გათვალისწინებით გადაიხედოს მათ მიერ შეთავაზებული სასწავლო პროგრამები.

**განათლების საერთაშორისო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით შეიქმნა** განათლების საერთაშორისო ცენტრის საკომუნიკაციო სტრატეგია. სტრატეგიის შექმნის ძირითადი მიზანი საზოგადოებასთან ღია დიალოგის წარმოებაა, რაც თავის მხრივ შესაძლებელი გახდება მოქალაქეებთან ორმხრივი, განუწყვეტელი კომუნიკაციის წარმართვით, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით.

საკომუნიკაციო სტრატეგია საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და სისტემური მიდგომების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი მექანიზმია. დოკუმენტი აერთიანებს საკომუნიკაციო საშუალებების, არხებისა და ინსტრუმენტების მრავალფეროვან ნაკრებს, რომელიც აუცილებელია განსხვავებული სამიზნე ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

**საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდის მისიაა:**

იყოს კვალიფიციური დამაკავშირებელი რგოლი  საზოგადოებასა და ცენტრს შორის, გაზარდოს უწყების გამჭვირვალობა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართვას, კმაყოფილებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით 2015 წელს დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის წარომადგენელთა და

სტიპენდიანტთა მონაწილეობით ინტერვიუები, სიუჟეტები, ბლოგები, სტატიები, გადაცემები, საკომუნიკაციო ყველა არხის - ტელევიზიის, რადიოს, ბეჭდური მედიისა და ინტერნეტის გამოყენებით. გაშუქდა ცენტრის ყველა პროგრამის მიმდინარეობა და შედეგი.

ცენტრის შესახებ პროაქტიული ინფორმაციის გავრცელების მიზნით მიმდინარეობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებაა - ინფორმაციის გავრცელება საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით; ცენტრის ვებ-გვერდისა და სხვა სოციალური ქსელების ყოველდღიური განახლება.

20-21 ივლისს ბორჯომში განათლების საერთაშორისო ცენტრის ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. განათლების საერთაშორისო ცენტრის ყოველწლიური კონფერენცია მიზნად ისახავდა საერთაშორისო პროგრამების სხვადასხვა თაობის სტუდენტების შეხვედრასა და გაცნობას, მათი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას. შესაბამისად, კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც კურსდამთავრებული სტუდენტები, ასევე მიმდინარე გრანტის მფლობელი და 2015-16 სასწავლო წლის კონკურსის გამარჯვებული სტუდენტები.

ორდღიანი კონფერენციის განმავლობაში სტუდენტები გაეცნენ ცენტრის მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ პროგრამულ ცვლილებებს, ახალ პროექტებსა და ინიციატივებს. კონფერენციის განმავლობაში გაიმართა საინფორმაციო სესიები 2015 წლის გამარჯვებული ახალი ნაკადისთვის და შეხვედრები კომისიის წევრებთან, სადაც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რჩევები მიიღეს და დასაქმების პერსპექტივებს გაეცნენ.

განათლების საერთაშორისო ცენტრმა სტიპენდიანტებს ორი დღის მანძილზე 5 სესია შესთავაზა. სესიების ფორმატი ითვალისწინებდა როგორც პრეზენტაციასა და პანელს, ასევე ჯგუფურ მუშაობას „ღია სივრცეში“ (Open Space Technology), სადაც განსახილველი საკითხის წამოჭრა და გამოცდილების გაზიარება თავად სტუდენტებს შეეძლოთ.

შეხვედრის ფარგლებში გამარჯვებულ კონკურსანტებს საშუალება მიეცათ უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი. ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებისთვის ეს შეხვედრა იყო ორმხრივი კომუნიკაციის საწყისი ეტაპი. ამ დროისათვის ცენტრსა და ბენეფიციარებს შორის არსებული ღია კომუნიკაცია ეხმარება ცენტრსა და მის სტიპენდიანტებს სწრაფ და ხარისხიან მუშაობაში. ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბენეფიციარები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მათი სწავლისა და წარმატებების შესახებ. მიმდინარეობს მასალის დამუშავება და ცენტრის სოციალური ქსელით - https://www.facebook.com/iec.gov.ge/?ref=hl გავრცელება. FB -გვერდზე შეიქმნა ახალი რუბრიკები, ცენტრის ბენეფიციართა ბლოგები.

ცენტრის არქივი ინახავს 50 ბენეფიციარის მიერ გადმოგზავნილ ინფორმაციას მიმდინარე სასწავლო პროცესზე, სხვა საქმიანობასა და მოღვაწეობაზე, ჯილდოებზე, მიღწევებზე. ვებ და ფბ გვერდები ერთ-ერთი ეფექტური გზაა ცენტრის შესახებ სიახლეებისა და ახალი პროგრამების გასავრცელებლად, პოტენციური ბენეფიციარების მოსაზიდად.

განათლების საერთაშორისო ცენტრის სოციალურ გვერდზე ხორციელდება მონიტორინგი. შემოსული კითხვები განიხილება პროგრამის კოორდინატორებთან ერთად, რათა საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე შეიქმნას სწორი სტრატეგია პროგრამული ნაწილის გასამართად. ასევე, დაწყებულია ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება, რათა მან სრულად უპასუხოს 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურ გამოწვევებსა და საზოგადოების ინტერესს.

**განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2015 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:** მთავრობის განკარგულებებისა და დადგენილებების პროექტების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, შრომითი ხელშეკრულებების მომზადება; ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების სამართლებრივი ანალიზი; ცენტრის პერსონალის მართვისა და საქმისწარმოების ორგანიზება; ცენტრის თანამშრომელთა პირადი საქმეების და მონაცემთა ბაზის სრულყოფა; ცენტრის თანამშრომელთა (საშტატო, შტატგარეშე) სამუშაო აღწერილობის შემუშავება; მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა; ცენტრის თანამშრომელთა შერჩევის უზრუნველყოფა და ამ მიზნით ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის გამოცხადება საჯარო ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე; ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა; ცენტრის შტატგარეშე თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება; ცენტრის თანამშრომლების დანიშვნის, შვებულებების და მივლინებების, ასევე წახალისების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება; ცენტრის მიზნების განსახორციელებლად შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგება; ცენტრის საქმისწარმოების წესის შემუშავება და ცენტრის დირექტორისთვის განსახილველად წარდგენა; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა; ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა; ცენტრის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების, აგრეთვე საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელების კოორდინაცია და მართვა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება; ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და სხვა ქონების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია, ამ მიზნით, ინვენტარიზაციის კომისიის შექმნა; სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება; ცენტრის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი

სატენდერო კომისიის შექმნა; ცენტრის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად; მომდევნო წლის წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმის პროექტის შედგენა.

2015 წელს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან გამოეყო 5 850 096.00 ლარი, ცენტრის მიერ განხორციელებულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 144 831, 00 ლარი. მათ შორის 99 ბენეფიციართან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გადაირიცხა 4 310 415,00ლარი;

# საკონტაქტო ინფორმაცია





**მისამართი**
თბილისი, იზგოროყვა 7

**ელ.ფოსტა**
info-iec@iec.gov.ge

**ცხელი ხაზის ნომერი**
032 240 02 02


*მოსმენილ შენი ყოფნა საქართველოს!*